

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

- 1.1 წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ პროფესიული კოლეჯის „ლაკადა“ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, მიღებული განათლების აღიარებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს, მოკლევადიანი პროგრამების/ტრენინგ-კურსების განხორციელების საკითხებს.
- 1.2 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით, კოლეჯის წესდებითა და კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტებით რეგულირდება ის საკითხები, რომელიც არ არის ასახეული წინამდებარე წესში.

თავი II პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

მუხლი 2. პროფესიული განათლების მიღების უფლება

1. დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიღება ცხადდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლითაც განისაზღვრება ვაკანტური ადგილები.
2. კოლეჯის დირექტორის ტესტირების დაწყებამდე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხას და წარმოდგენის ვადებს.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:
 - ა) პირადი (კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;
 - ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) აპლიკანტის არასრულწლოვნების შემთხვევაში, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის) მოთხოვნის შესაბამისად საბაზო ან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (ნოტარიალურად დამოწმებული ასლი) ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი (ნოტარიალურად დამოწმებული ასლი), რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა საბაზო (სრული) ზოგადი განათლების მიღების გარეშე.

ე) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების 37-ე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები (სსსმ აპლიკანტის შემთხვევაში).

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა წარმოდგენილ უნდა იქნას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული დიპლომის დედანი (პროფესიული დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი).

5. უცხოეთში ან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების მქონე პირის (აპლიკანტმა) მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა წარმოდგენილ უნდა იქნას უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი მიღებული განათლების აღიარების შესახებ (დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი).

6. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარმოდგენლობა შესაძლებელია გახდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვაზე უარის თქმის მიზეზი.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველს წარმოადგენს და გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების შედეგები.

8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხორციელდება პროფესიულ სტუდენტსა და კოლეჯის დირექტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემები რეესტრის წარმოების სპეციალისტს შეაქვს კოლეჯის რეესტრში ჩარიცხვის დღეს.

მუხლი 3. კოლეჯში მობილობის წესით ჩარიცხვა და მიღებული განათლების აღიარება

1. მობილობა ცხადდება და გამოცხადებასთან ერთად ვაკანტური ადგილები და წარმოსადგენი დოკუმენტაცია განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. მობილობის მსურველის სტატუსის მოპოვებისათვის, კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თხოვნით, მსურველი განცხადებით მიმართავს კოლეჯის ადმინისტრაციას.
3. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, რომლის ჩარიცხვაც განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის მომენტისათვის წარმოადგენს სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს.
4. მობილობას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. მობილობის მსურველთა განცხადებების განხილვა და პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა ან ჩარიცხვაზე უარის თქმა ხორციელდება, კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ.
6. კომისია ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისი დაწესებულების ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, სტუდენტი ჩარიცხვის კანონიერების საკითხს, გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების შესაძლებლობების საკითხს და ამზადებს დასკვნას მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე.
7. გარე მობილობის შემთხვევაში კრედიტების აღიარების მიზნით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას საგანმანათლებლო პროგრამა . ასევე, სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგები. მოდულური პროგრამის შემთხვევაში, ინფორმაცია ათვისებული მოდულების კრედიტების ან მოდულის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თაობაზე.
8. თუ პროგრამის უკვე ათვისებული კომპონენტის სახელწოდება მცირედით განსხვავდება დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისაგან, თუმცა შინაარსობრივად, ასათვისებელი კვალიფიკაციების მიხედვით იდენტური ან თითქმის იდენტურია, ის შეიძლება ცნობილ იქნას კომისიის მიერ;
9. თუ პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის კრედიტები მეტია ვიდრე დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისა, კრედიტები ცნობილ იქნება დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით;
10. თუ პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის კრედიტები ნაკლებია ვიდრე დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისა, ცნობილ იქნება კრედიტები ათვისებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით. გამოწვევას ინდივიდუალურად განსაზღვრავს დაწესებულება;
11. თუკი სტუდენტის მობილობა განხორციელდა ისეთ პერიოდში როცა პროგრამის ფარგლებში დასრულებულია სწავლება ცალკეულ სასწავლო კურსებზე/მოდულებზე, მას კი აღნიშნული სასწავლო კურსი/მოდული მისი დაწესებულების პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე არ აქვს ბოლომდე შესწავლილი, კომისია იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ.

12. კოლეჯი უფლებამოსილია, გასაუბრების ან/და გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველი პირის მიერ მიღებული პროფესიული განათლების თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან. მოდულური პროგრამის შემთხვევაში, გამოცდის დროს გამოყენებული იქნება შესაბამისი პროფესიის შეფასების სტანდარტი;
13. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მობილობის წესით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის თაობაზე ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
14. მობილობის მსურველი პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა შესაძლებელია გახდეს პირის მობილობის წესით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.
15. კომისიის მიერ განხილვის შედეგები ეცნობება დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.
16. შიდა მობილობა ხორციელდება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე თავისუფალი ადგილების შემთხვევაში მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს გააჩნია, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 სასწავლო დღისა.
17. შიდა მობილობა შეიძლება განხორციელდეს ერთი და იმავე მიმართულების სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლებზეც პროფესიული ტესტირება ხორციელდება საერთო ტიპის ტესტით.
18. გარე მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ერთი და იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
19. კოლეჯი უფლებამოსილია სტუდენტს შესთავაზოს მობილობა თუ:
 - ა) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
 - ბ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
20. შიდა და გარე მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარებას ახორციელებს კოლეჯი.
21. სტუდენტის მობილობით გადაყვანა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით და მისი გამოცემის დღეს მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.
22. ერთი და იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული სწავლის დასრულებამდე ერთი თვით ადრე
23. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები

1. ა) კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

ბ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების ასისტენტის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პროფესიული მასწავლებლის მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდაჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

2. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მოდულს/საგანს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის/საგანის მოთხოვნებთან მიმართებით.

4. სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში სასწავლო კურსის/მოდულის პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს დირექციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო საჭიროებ (ებ)ის შესახებ.

5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად.

6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ მტკიცდება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის საჭიროებების და სხვ. შესახებ ინფორმაციას დირექციას წერილობით აცნობებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.

7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ანაცვლებს და არ ცვლის სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ივსება. გაცდენები, შეფასებები, დახასიათება და ა. შ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აზუსტებს ამ დოკუმენტებში არსებული მონაცემების საფუძველს.

8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების

განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.
2. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ნიშნავს კოლეჯსა და სტუდენტს შორის უფლება- მოვალეობების შესრულებისგან დროებით გათავისუფლებას.
2. პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია არაუმეტეს 2 წლის ვადით.
3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - ა) ფინანსური დავალიანება
 - ბ) სამხედრო სამსახურში ან რეზერვში ჩარიცხვა, რაც გამორიცხავს პარალელურ რეჟიმში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას
 - გ) პროფესიული სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე
 - დ) მობილობის ფარგლებში სხვა სასწავლებელში გადასვლის შესახებ განცხადების დარეგისტრირება
 - ე) სტუდენტის პირადი განცხადება
 - ვ) კანონმდებლობითა და დაწესებულების მიერ დადგენილი სხვა შემთხვევები.ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას სტუდენტი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს და ითხოვს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას. არასრულწლოვანისა და ქმედუუნარო/შეზღუდულ ქმედუუნარიანი სსსმ სტუდენტის შემთხვევაში განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნას

მშობლის/მეურვის მიერ, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება. პროგრამის იმ ეტაპიდან როდესაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

4. სტატუსშეჩერებული სტუდენტი (არასრულწლოვანის/ქმედუნარო/ შეზღუდულ ქმედუნარიანი სსსმ პირის შემთხვევაში მისი წარმომადგენელი) ვალდებულია სტატუსის აღდგენის თხოვნით წერილობითი განცხადებით მიმართოს დირექციას პროგრამის შესაბამისი ეტაპის დადგომამდე, ერთ თვით ადრე.
5. სტატუსაღდგენილ პროფესიულ სტუდენტთან (არასრულწლოვანის/ქმედუნარო/ შეზღუდულ ქმედუნარიანი სსსმ პირის შემთხვევაში მის წარმომადგენელთან) სტატუსის აღდგენის დღეს ფორმდება ახალი ხელშეკრულება.
6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოლიცემა რეესტრის/დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა, მონაცემებ შეიტანება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
 - ა) დაწესებულების შინაგანაწესით / ქცევის კოდექსით დადგენილი შემთხვევები;
 - ბ) აღდგენილი პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების გარემოებების ხელმეორედ დადგომა;
 - გ) პროფესიული სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
 - დ) დაწესებულებისათვის ისეთი ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა ან ისეთი ინფორმაციის წარუდგენლობა, რაც გავლენას იქონიებდა პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;
 - ე) სტუდენტის პირადი განცხადება;
 - ვ) გარდაცვალება;
 - ზ) საქართველოს კანონმდებლობით და დაწესებულების მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული სხვა შემთხვევები
 - თ) სტატუსის შეჩერების ვადის გასვლა, როცა სტატუსშეჩერებული პირი/მისი კანონიერი წარმომადგენელი წერილობითი ფორმით არ ითხოვს სტატუსის აღდგენას.
 - ი) კოლეჯში სწავლის დაწყებიდან ორი სასწავლო კვირის პერიოდში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა.
 - კ) მოდულური პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ ერთი სწავლის შედეგის ვერ დადასტურება შეფასების წესით დადგენილი პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის შესაბამისად
 - ლ) კოლეჯში ერთი თვის მანძილზე სისტემატიურად არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით გამოიცემა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მისი გამოცემის დღეს მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ი“, და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ დირექტორის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კოლეჯი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას (წერილობითი ფორმით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით), მის მიერ დაგროვილი გაცდენილი დღეების/საათების გამო მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს არ ათავისუფლებს იმ ფინანსური დავალიანების დაფარვისაგან, რომელიც მას წარმოუშვა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ დირექტორის ბრძანების გამოცემამდე. იგი ვალდებულია დაფაროს დავალიანება.

5. ფინანსური დავალიანების დაფარვისათვის თავის არიდების შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია გაატაროს შესაბამისი ზომები, მათ შორის მიმართოს სასამართლოს.

თავი III

მუხლი 8. სასწავლო პროცესი

1. სასწავლო პროცესის მენეჯმენტზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაწყება/დამთავრება რეგულირდება აკადემიური კალენდრით, რომელიც მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეადგენს თეორიული მეცადინეობის, პრაქტიკული
4. სამუშაოების და შეფასების პერიოდების ერთობლიობას, რომლის მოცულობა განისაზღვრება კრედიტებით სადაც 1 კრედიტი გათანაბრებულია 25 ასტრონომიულ საათთან
5. მოდულური პროგრამების შემთხვევაში, კალენდარულ გეგმებს და შეფასების ინსტრუმენტებს, სასწავლო გეგმისა და მოდულის ჩარჩოს მიხედვით, ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელი და უთანხმებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს.
6. მოდულური პროგრამების შემთხვევაში, სსმ პროფესიული სტუდენტებისათვის კალენდარული გეგმისა და მოდულის გათვალისწინებით, მოდიფიცირებულ სასწავლო მასალას განსაზღვრავს და ადგენს საჭიროებისამებრ პროფესიული განათლების მასწავლებელი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან შეთანხმებით.
7. სწავლის პერიოდი შესაძლებელია გახანგრძლივდეს, თუ:
 - ა) პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა.
 - ბ) ადგილი აქვს სხვა ობიექტურ გარემოებას.

მუხლი 9. მეცადინეობების ჩატარების უზრუნველყოფა

1. მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო ცხრილების შესაბამისად.
2. პროფესიულ სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მეცადინეობათა შეჭრილი გრაფიკით.
3. მეცადინეობების სასწავლო ცხრილი სწავლის დაწყებისთანავე განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.
4. მეცადინეობების სასწავლო ცხრილს ადგენს სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, რომელიც მტკიცდება დირექტორის სამართლებლივი აქტით.
5. მეცადინეობების ცხრილის ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება სასწავლო პროცესის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული დირექტორის სამართლებლივი აქტით. ცხრილის ცვლილება დასაშვებია სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან შეთანხმებით, რაც აისახება ელექტრონულ ჟურნალში;
6. კოლეჯში დაწესებულია ხუთ დღიანი სასწავლო კვირა, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ასევე, შაბათი და კვირა როგორც სასწავლო დღე.
7. სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.
8. მეცადინეობის ხანგრძლივობა შეადგენს ერთ ასტრონომიულ საათს (აკადემიური საათი - 45 წუთი, შესვენება 15 წუთი).
9. პროფესიულ სტუდენტთა დასწრებისა აღრიცხვისა და შეფასების მიზნით კოლეჯში მოქმედებს ელექტრონული ჟურნალი;
10. პროფესიული სტუდენტები ისვენებენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებულ უქმე და დასვენების დღეებში.
11. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კოლეჯის მისამართზე: წალენჯიხა, ჯვარი ყაზბეგის ქ. №2 და პრაქტიკის ობიექტებზე, რაც მტკიცდება შესაბამისი ბრძანებით.
12. კოლეჯში საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

თავი IV

პროფესიული სტუდენტის უფლებები, ვალდებულებები და შეზღუდვები

მუხლი 10. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია:

ა) მიიღოს ისეთი პროფესიული განათლება, ცოდნა და კვალიფიკაცია, რომელიც პროგრამის დასრულების

შემდეგ კონკურენტუნარიანს გახდის შრომის ბაზარზე;

ბ) უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და სასწავლო მასალით

- გ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შესაფება
- დ) გამოიყენოს კოლეჯის ბიბლიოთეკის რესურსები სასწავლო მიზნებისათვის;
- ე) სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს სასწავლო პროცესის ათვისებისათვის აუცილებელი ინფორმაცია და ინსტრუქციები კოლეჯის და უშუალოდ სასწავლო პროცესის ხელმძღვანელებისაგან;
- ვ) დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან;
- ზ) გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;
- თ) გამოთქვას პროტესტი და წერილობით გაასაჩივროს კოლეჯის დირექტორთან კოლეჯში დასაქმებულის ან/და სხვა პროფესიული სტუდენტის არამართლობიერი ქმედება;
- ი) კოლეჯის არამართლობიერი ქმედება გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

მუხლი 11. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- ა) დაემორჩილოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნებს და კოლეჯში დასაქმებული უფლებამოსილი პირის შესაბამის მითითებებს;
- ბ) ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში მოახდინოს ადმინისტრაციის ინფორმირება მეცადინეობების გაცდენის თაობაზე, რის საფუძველზეც ადმინისტრაციის მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება გაცდენების საპატიოდ ჩათვლა/არ ჩათვლის თაობაზე.
- გ) გაუფთხილდეს და დაიცვას კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები; მატერიალური ქონება გამოიყენოს კეთილსინდისიერად, აანაზღაუროს მის მიერ კოლეჯისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანი;
- დ) პატივი სცეს სხვა პროფესიული სტუდენტებისა და კოლეჯის თანამშრომლების ღირსებას.
- ე) დროულად აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას მისამართის ან სხვა პირადი მონაცემების ცვლილების შესახებ.

მუხლი 12. პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება:

- ა) ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოსა და საქართველოს კანონმდებლობით უნებართვოდ აკრძალული ნივთიერების კოლეჯის ტერიტორიაზე შეტანა და რაიმე ფორმით გამოყენება;
- ბ) ალკოჰოლური თრობისას ან რომელიმე ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას კოლეჯის ტერიტორიაზე გამოცხადება და გადაადგილება;
- გ) კოლეჯის ინფორმაციულ სივრცეში ყველა ტიპის კომპიუტერული თამაშები, არასანქცირებული ჩართვების განხორციელება, პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, რომელიც არ არის შეთანხმებული კოლეჯის ადმინისტრაციასთან.
- დ) სასწავლო პროცესისადმი ხელის შეშლა, ხმაური, საუბარი;
- ე) მეცადინეობაზე მობილური ტელეფონის ან სხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენება;
- ვ) პროფესიული მასწავლებლის განკარგულების ან დავალების შეუსრულებლობა/ დაუმორჩილებლობა;

ზ) შეფასების მიღების მცდელობა მუქარით, ზემოქმედებით, თაღლითური ან სხვა დაუშვებელი მეთოდებით;

თ) მეცადინეობების ჯგუფური მიტოვება;

ი) მეცადინეობებზე სისტემატური დაგვიანება;

ლ) ადმინისტრაციის ბრძანებების და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ნორმების დარღვევა.

მ) არასრულწლოვანი სტუდენტის დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის კანონიერ წარმომადგენელს.

ნ) დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება იღებს კოლეჯის დირექტორი, რაც ფორმდება შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. აუდიტორიაში პროფესიული სტუდენტის ყოფაქცევაზე პასუხისმგებელია მასწავლებელი. თუ სტუდენტი დაარღვევს წესრიგს ან კანონს და ამით ხელს შეუშლის მეცადინეობის მსვლელობას, მასწავლებელი სტუდენტის პასუხისმგებლობის საკითხს წერილობითი მომართვით აყენებს ადმინისტრაციის წინაშე.

3. პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯისათვის ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის გამო ზიანის ოდენობის შესაბამისი მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ სტუდენტს (არასრულწლოვანის, ქმედუუნარო/შეზღუდულქმედუნარიანის შემთხვევაში – მის კანონიერ წარმომადგენელს).

მუხლი 13. პროფესიული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

1. კოლეჯი უფლებამოსილია დამრღვევ პროფესიულ სტუდენტს მოსთხოვოს ახსნა განმარტების მიცემა და მის მიმართ და ჩადენილი დარღვევის ხარისხის გათვალისწინებით გამოიყენოს დისციპლინარული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი შემდეგი ფორმა:

ა) გაფრთხილება;

ბ) შენიშვნა;

გ) საყვედური;

დ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

ე) თუ პროფესიულ სტუდენტს ორი თვის განმავლობაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონე პირად.

2. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით იღებს გადაწყვეტილებას წარჩინებული, სანიმუშო, აქტიური პროფესიული სტუდენტების წახალისების შესახებ ამ მიზნით შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე. წახალისების ფორმით შეიძლება გამოყენებულ იქნას:

ა) მაღლობის გამოცხადება;

ბ) სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი ნამუშევრით დასაჩუქრება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება

დ) ექსკურსია;

თავი V

მუხლი 14. პროფესიული განათლების მასწავლებელი

1. პროფესიული განათლების მასწავლებელმა აუცილებელია სათანადოდ დაიცვას:

- ა) პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
- ბ) კოლეჯის შინაგანაწესი;
- გ) მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობები;
- დ) პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;
- ე) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და ვალდებულებები.

2. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია:

- ა) ლექციის დაწყებამდე დააფიქსიროს ხელმოწერა კოლეჯში დასაქმებულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიერ ჩატარებული საათობრივი აღრიცხვის ტაბელში;
- ბ) ლექციის პერიოდში გააკონტროლოს და ზედამხედველობა გაუწიოს პროფესიული სტუდენტის ქმედებებს და ნებისმიერი უწესრიგობის შემთხვევაში ოპერატიულად აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას;
- გ) მიიღოს ყველა გონივრული და სამართლებრივი ზომა, რათა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, კოლეჯის ხელმძღვანელის ნებართვის გარეშე არ დაუშვას სხვა არაუფლებამოსილი პირი;
- დ) არ დაუშვას კოლეჯის სასწავლო პროცესის პოლიტიზირება;
- ე) ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამების მენეჯერთან შეთანხმებით, აწარმოოს სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალის გამოყენება;
- ვ) აწარმოოს პროფესიულ სტუდენტთა ელექტორნული ჟურნალი;
- ზ) მიიღოს ყველა გონივრული ზომა პროფესიული სტუდენტის ცოდნისა და მიღწევების სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებელია სტუდენტის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით;
- თ) მზრუნველობით მოეპყროს კოლეჯის ქონებას და მიიღოს ზომები ზიანის თავიდან ასაცილებლად;
- ი) არ დაუშვას ლექციის გაცდენა/ჩაშლა;
- კ) კოლეჯზე მიყენებული ზიანის შემთხვევაში ანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

3. პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება აქვს:

- ა) მოთხოვოს დამსაქმებელს მუშაობისათვის აუცილებელი და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო;
- ბ) დროულად მიიღოს შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი შესაბამისი შრომითი ანაზღაურება.

თავი VI შეფასების სისტემა და კვალიფიკაციის მინიჭება

მუხლი 15. შეფასების სისტემა

1. მოდულური პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება
2. განმავითრებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის გამოყენებას და უსვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - 3.1. სწავლის შედეგი დადასტურდა
 - 3.2. სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

4. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

მუხლი 16. სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი

1. გასაჩივრების (აპელაციის) შემთხვევაში შედეგის გაცნობიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში პროფესიულმა სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს დირექტორს, რომელიც არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას შედეგის კომისიური წესით განხილვა/არ განხილვის თაობაზე (სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესი და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და მასწავლებლები.

2. კომისია 2 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების საკითხს და საკმარისი/ავთენტური მტკიცებულების არ არსებობის შემთხვევაში შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი შეფასება.

კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2 დღის პერიოდში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს;

3. დაწესებულება არ არის უფლებამოსილი არსებული შეფასების საფუძველზე შეუწყვიტოს პროფესიულ სტუდენტს სტატუსი სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებამდე.

მუხლი 17 . კვალიფიკაციის მინიჭება

მოდულურ პროგრამაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასასრულს, პროფესიულ სტუდენტს ყველა ზოგადი, პროფესიული სავალდებულო და არჩევითი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების ჯამის დაგროვების შემთხვევაში ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია.

1. კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ პროფესიული კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის პრეროგატივას სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების კომისიის დასკვნის საფუძველზე.

2. პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულური პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის/მოდულის კრედიტების ათვისება.

3. კომისია იქმნება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

4. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ პროფესიულ სტუდენტზე გაიცემა შესაბამისი პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი.

5. სტუდენტი, რომელიც ვერ დაადასტურებს პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტებს, მასზე გაიცემა ცნობა სასწავლებელში სწავლის შესახებ დადასტურებული სწავლის შედეგებით.

6. სსსმ პირი, რომლის მიერ ვერ იქნება ათვისებული პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის/მოდულის სწავლის შედეგები ითვლება კურსდამთავრებულად და მასზე გაიცემა პროგრამის გავლის დამადასტურებელი ცნობა, მოთხოვნის შემთხვევაში დამღეული სწავლის შედეგების მითითებით.

7. ტრენინგ- კურსის (მოკლევადიანი პროგრამის) კურსდამთავრებულზე გაიცემა სერტიფიკატი, რომლის ნიმუში მტკიცდება შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.